განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტი მომზადებულია საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და განსაზღვრავს 2023 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს მთავრობის მიერ მომზადება და საქართველოს პარლამენტის მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 38-ე მუხლის შესაბამისად, 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ამ ეტაპზე პირველადი ვერსიასთან შედარებით არ შეცვლილა, განახლებულია მხოლოდ 2022 წლის დამტკიცებული გეგმის მაჩვენებლები, ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად. წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტს თან ახლავს ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის რეკომენდაციების გათვალისწინების შესაძლებლობის შესახებ. ამასთან, 2023 წლის პარამეტრების განახლება მოხდება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შემდგომი განხილვების, მხარჯავ დაწესებულებებთან კონსულტაციების და საქართველოს პარლამენტის მიერ გამოთქმული რეკომენდაციების შესაბამისად საბოლოოდ შეჯერებული მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების გათვალისწინებით და წარმოდგენილი იქნება საბოლოო ვერსიაში მიმდინარე წლის 30 ნოემბრამდე, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ახალი კორონავირუსის პანდემიამ 2020 წელს მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე და შედეგად რეალური ეკონომიკის შემცირებამ 6,8% შეადგინა. ეკონომიკურმა ვარდნამ გამოიწვია შემოსავლების შემცირება და ამავდროულად, პანდემიის საპასუხო ღონისძიებებისთვის საჭირო გახდა დამატებითი ხარჯების გაწევაც. ზემოაღნიშნულიდან

გამომდინარე 2020 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა მთავრობის ვალი და მშპ-ს 60%-ს გადააჭარბა, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტმა მშპ-ს 9,3% შეადგინა.

ეკონომიკური რეცესია 2021 წლის პირველ კვარტალშიც გაგრძელდა და რეალური ეკონომიკა 4,1% შემცირდა, თუმცა მეორე კვარტლიდან საქართველოს ეკონომიკის აღდგენის პროცესი დაიწყო. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ექსპორტ-იმპორტის, დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვების, საფინანსო სექტორის ზრდის, წმინდა ფულადი გზავნილების და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები, რის შედეგადაც 2021 წელს ეკონომიკის რეალურმა ზრდამ 10,4% შეადგინა, რაც ნიშნავს, რომ შესაძლებელი გახდა 2020 წელს მიღებული დანაკარგის სრული აღდგენა და 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის დონე 2,9%-ით გაიზარდა.

2021 წელს ეკონომიკის აღდგენის პარალელურად შესაძლებელია გახდა მნიშვნელოვანი ფისკალური კონსოლიდაცია, კერძოდ ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი შემცირდა მშპ-ს 6,1%-მდე, ხოლო მთავრობის ვალის მაჩვენებელი ჩამოცდა მშპ-ს 50%-იან ნიშნულს.

2022 წლის ბიუჯეტი დაიგეგმა 6%-იანი რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზით, ხოლო ნომინალურ გამოხატულებაში მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი 64,8 მლრდ ლარს შეადგენდა. ამავდროულად, კვლავ მაღალი იყო ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი და მშპ-ს 4,4%-ს შეადგენდა.

2022 წელს კვლავ გაგრძელდა მაღალი ეკონომიკური ზრდა. აგვისტოში ეკონომიკურმა ზრდამ 10,5% შეადგინა, ხოლო 9 თვის მონაცემებით რეალური ეკონომიკური ზრდა კვლავ ორნიშნა მაჩვენებლით არის და 10,2%-ს შეადგენს.

მაღალი ეკონომიკური ზრდიდან გამომდინარე, შეტანილ იქნა ცვლილება 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში, რომლის მიხედვითაც რეალური ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 8,5%, ხოლო ნომინალური მშპ-ს პროგნოზი შეადგენს 72,2 მლრდ ლარს. მაღალმა ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა შესაძლებელი გახადა დაგეგმილთან შედარებით 700,0 მლნ ლარზე მეტით შემცირებული ვალის აღება, შედეგად ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი შემცირდა მშპ-ს 3,2%-მდე, ხოლო მთავრობის ვალის მაჩვენებელი ჩამოცდა მშპ-ს 40%-ს.

აღნიშნული მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ 2 წლიან პერიოდში განხორციელდა მნიშვნელოვანი ფისკალური კონსოლიდაცია, რამაც შესაძლებელი გახადა ვალის მაჩვენებლის პანდემიამდელ დონეზე შემცირება.

2023 წლისთვის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები კვლავ შედარებით კონსერვატიულად არის დაგეგმილი და ამავდროულად გრძელდება ფისკალური კონსოლიდაცია, კერძოდ:

- რეალური ეკონომიკური ზრდა დაგეგმილია 5%-ის ფარგლებში. აღნიშნული მაჩვენებელი შენარჩუნებულია საშუალოვადიან პერიოდის განმავლობაში;
- მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი ასევე 5%-ს შეადგენს, ხოლო შემდგომ წლებში პროგნოზირებულია 3%-ის ფარგლებში;
- ნომინალური მშპ-ის პროგნოზი განსაზღვრულია 79,6 მლრდ ლარის ოდენობით, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტი თითქმის 7 500 დოლარს უტოლდება. 2026 წლისთვის პროგნოზირებულია ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 101,0 მლრდ ლარამდე, რაც ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 9 500 დოლარს გადააჭარბებს;
- ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვრება 18,5 მლრდ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ს 23,2%-ია;
- ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენს მშპ-ს 2,8%-ს, ხოლო მთავრობის ვალის მაჩვენებელი მშპ-ს 39%-ის ფარგლებშია.

ზემოაღნიშნული მაჩვენებლების ფარგლებში 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ჯამურად შეადგენს 24,3 მლრდ ლარს, რაც საშუალებას იძლევა ბიუჯეტმა სრულყოფილად უპასუხოს ქვეყნის ძირითად გამოწვევებს, კერძოდ 2023 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს:

- **თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით:**
  - თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და უსაფრთხოების სამსახურის დაფინანსება 2022 წლის პირველად ბიუჯეტთან შედარებით იზრდება 490,0 მლნ ლარზე მეტით. მათ შორის პოლიციელებისა და ჯარისკაცების ხელფასების 20%-ით გაზრდის მიზნით გათვალისწინებულია 290,0 მლნ ლარზე მეტი; ზოგადად, მთლიან საჯარო სექტორში გათვალისწინებულია ხელფასების 10%-იანი ზრდა, თუმცა არსებული გამოწვევების ფონზე, პოლიციელებისა და ჯარისკაცების ხელფასი ორჯერ უფრო მეტით გაიზრდება, ვიდრე სხვა საჯარო მოხელეების ანაზღაურება; ამასთან, 2022 წლის განახლებულ ბიუჯეტთან შედარებით ამ მიმართულებით იზრდება დაფინანსება იზრდება 314,4 მლნ ლარით.
  - პოლიციელებისა და ჯარისკაცების სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის ასევე გათვალისწინებულია საცხოვრებელი ბინების მშენებლობა;
  - გარდა ამისა, მნიშვნელოვანი რესურსია გათვალისწინებული თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების, პოლიციისა და უსაფრთხოების სამსახურების ეფექტური ფუნქციონირებისათვის;

- **სოციალური მიმართულებით**

  ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამების დასაფინანსებლად სამინისტროს დაფინანსება 2022 წლის პირველ დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 770,0 მლნ ლარზე მეტით (2022 წლის ბიუჯეტში შეტანილ ცვლილებასთან შედარებით სამინისტროს დაფინანსება იზრდება 561,1 მლნ ლარით), რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია:
  - 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსია იზრდება 65 ლარით და განისაზღვრება 365 ლარის ოდენობით. ამავე კატეგორიის პენსიონერთა პენსია მაღალმთიან დასახლებებში თითქმის 440 ლარს გაუტოლდება;
  - 70 წლამდე პირთა პენსია იზრდება 35 ლარით და განისაზღვრება 295 ლარის ოდენობით, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში თითქმის 355 ლარს გაუტოლდება;
  - გარდა პენსიისა, გათვალისწინებულია მკვეთრად გამოხატული შშმ პირების სოციალური გასაცემლის ზრდა 65 ლარით, ხოლო დანარჩენი კატეგორიის შშმ პირთა გასაცემლის ზრდა 35 ლარით;
  - გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ივნისიდან 150 ლარამდე გაზრდილი ბავშვთა სოციალური დახმარების სრული წლის დაფინანსება;
  - დევნილთა სახლების უზრუნველყოფის კუთხით იწყება 7 000 ბინაზე გათვლილი საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობა, რისთვისაც 2023 წელს გათვალისწინებულია 250,0 მლნ ლარზე მეტი.

- **განათლების მიმართულებით**

  განათლების და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 290,0 მლნ ლარზე მეტით (2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილ ცვლილებასთან შედარებით სამინისტროს დაფინანსება იზრდება 293,7 მლნ ლარით), რომლის ფარგლებში:
  - საჯარო სკოლების მასწავლებელთა დანამატი იზრდება 125 ლარით;
  - ასევე 125 ლარით იზრდება მანდატურების ხელფასებიც;
  - გათვალისწინებულია საჯარო სკოლების ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასების 10%-იანი ზრდა;
  - გათვალისწინებულია პროფესიული სასწავლებლების პედაგოთა საათობრივი ანაზღაურების ზრდა (15-დან 18 ლარამდე);
  - იწყება 500-ზე მეტი საჯარო სკოლის რეაბილიტაცია და მშენებლობა, რისთვისაც 2023 წელს გათვალისწინებულია 300,0 მლნ ლარამდე;

  გარდა ამისა, მუნიციპალიტეტების გაზრდილი შემოსავლების ფარგლებში შესაძლებელი იქნება საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ხელფასების 100 ლარიანი ზრდა.

- **საჯარო სექტორის მდგრადობა**

ბოლო 5 წლიან პერიოდში, 2022 წელს პირველად განხორციელდა საჯარო სექტორში ხელფასების მატება, თუმცა აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს კერძო სექტორში გაცილებით მეტად გაიზარდა საშუალო ხელფასი, ვიდრე საჯარო სექტორში. შესაბამისად აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს საჯარო სექტორში დასაქმებულთა ანაზღაურების საკითხი.

ბიუჯეტის პროექტის პირველად ვერსიასთან ერთად მომზადდა თანმდევი კანონპროექტი, რომელშიც აისახა ის ძირითადი პრინციპები, რომლის მიხედვითაც მომდევნო წლებში განხორციელდება საჯარო სექტორში ხელფასების მატება.

2023 წელს საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასების ზრდა განხორცილდება 10%-ით, გარდა პოლიციელებისა და ჯარისკაცებისა, რომელთა ხელფასები გაიზრდება 20%-ით.

- **ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობა**

ფისკალური კონსოლიდაციისა და ზემოაღნიშნულ მიმართულებებზე დაფინანსების სოლიდური ზრდის მიუხედავად, 2023 წელს მნიშვნელოვანი თანხებია გათვალისწინებული ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად.

ჯამში, ნაერთი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიიმართება 6 მილიარდ ლარზე მეტი, მათ შორის:

- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე მიიმართება 1,7 მილიარდ ლარზე მეტი, მათ შორის ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობას მოხმარდება 1,2 მილიარდ ლარზე მეტი;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის გათვალისწინებულია 2,1 მილიარდ ლარზე მეტი;
- წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის გაუმჯობესებაზე მიიმართება 520,0 მლნ ლარამდე;
- საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაზე მიიმართება 450,0 მლნ ლარამდე;
- რეგიონების გაზიფიცირებისთვის გამოყოფილია 80,0 მლნ ლარი;

სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის გამოყოფილია 590,0 მლნ ლარზე მეტი;

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით 2023 წელს გათვალისწინებულია 260,0 მლნ ლარზე მეტი.

ნაერთი ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

2023 წლის განახლებული პროგნოზით ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 18 497,0 მლნ ლარს შეადგენს. 2022 წლის განახლებულ მაჩვენებელთან შედარებით 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1 673,0 მლნ ლარით.

მშპ-სთან მიმართებაში 2023 წელს საგადასახადო შემოსავლები 23,2%-ს შეადგენს და საშუალოვადიან პერიოდში განისაზღვრება 23,4%-ის ფარგლებში.

2023 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5 542,8 მლნ ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის წილი შეადგენს 5 106,8 მლნ ლარს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების წილი 436,0 მლნ ლარს;

- მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 945,0 მლნ ლარით;
- დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7 934,2 მლნ ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის წილი შეადგენს 6 426,7 მლნ ლარს, ხოლო მუნიციპალიტეტების წილი - 1 507,5 მლნ ლარს;
- აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 100,0 მლნ ლარის ოდენობით;
- იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 125,0 მლნ ლარით;
- ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 600,0 მლნ ლარს;
- სხვა გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 250,0 მლნ ლარით.

მიმდინარე ხარჯები

პანდემიის საპასუხო ღონისძიებების დაფინანსების შედეგად, 2020-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მიმდინარე ხარჯების მოცულობა და მშპ-სთან მიმართებაში 2020 წელს 26,2%, ხოლო 2021 წელს 24,7% შეადგინა. 2022 წელს მიმდინარე ხარჯების მოსალოდნელი მოცულობა ჯამში დაგეგმილია 15,6 მლრდ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ს 21,6%-ს შეადგენს. 2023 წელს მიმდინარე ხარჯების მოსალოდნელი მოცულობა ჯამში დაგეგმილია 17,0 მლრდ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ის 21,3%-ს შეადგენს, ხოლო 2024-2026 წლებში შენარჩუნებულია საშუალოდ იგივე მაჩვენებელზე.

კაპიტალური ხარჯები

პანდემიის მიუხედავად, 2020-2021 წლებში მნიშვნელოვნად არ შემცირებულა კაპიტალური ხარჯების მოცულობა და მშპ-სთან მიმართებაში 2020 წელს 9,0%, ხოლო 2021 წელს 7,9% შეადგინა. 2022 წელს კაპიტალური ხარჯების დაგეგმილი მოსალოდნელი ოდენობა შეადგენს 6,0 მლრდ ლარს, რაც მშპ-ს 8,3%-ს შეადგენს. 2023 წელს კაპიტალური ხარჯების დაგეგმილი მოსალოდნელი ოდენობა განისაზღვრება 6,1 მლრდ ლარამდე, რაც მშპ-ს 7.7%-ს შეადგენს. მომდევნო წლებში, ფისკალური კონსოლიდაციის პარალელურად კაპიტალური ხარჯები მცირდება და მშპ-ს 7,0%-ის ფარგლებშია შენარჩუნებული.

საბიუჯეტო დეფიციტი და მთავრობის ვალი

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით, იმავე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ზღვრული პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- 2023 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო, განისაზღვრება 2 301,0 მლნ ლარით, რაც პროგნოზირებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 2.9%-ს შეადგენს (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 3%);
- 2023 წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა – მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 38.9%-ით, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების საორიენტაციო შეფასება (2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) –

მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 0.5%-ით – ჯამი: მშპ-ის 39.4% (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 60%).

რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამით გაანგარიშებული ნაერთი ბიუჯეტის მოდიფიცირებულ დეფიციტს, მისი მოცულობა 2 265,0 მლნ ლარია და მშპ-ს 2,8%-ს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** ჯამური მაჩვენებელი წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 1 939,4 მლნ ლარით (ხოლო 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებულ ცვლილებასთან შედარებით გაზრდილია 1 448.6 მლნ ლარით) და განისაზღვრება 21 302,0 მლნ ლარის ოდენობით. მათ შორის:

- **შემოსავლები - 17 193,3 მლნ ლარი** (2022 წლის პირველ დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 2 632,9 მლნ ლარით, ხოლო 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებულ ცვლილებასთან შედარებით გაზრდილია 1 432,6 მლნ ლარით);

  - **საგადასახადო შემოსავლები** შეადგენს 15 953,5 მლნ ლარს, რაც პირველ დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 2 529.8 მლნ ლარით, ხოლო კანონში განხორციელებულ ცვლილებასთან შედარებით გაზრდილია 1 480,5 მლნ ლარით, მათ შორის:

    - ✓ **საშემოსავლო გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5 106,8 მლნ ლარით, რაც 2022 წლის პირველ დამტკიცებულ გეგმას აღემატება 806,8 მლნ ლარით, ხოლო კანონში განხორციელებულ ცვლილებასთან შედარებით გაზრდილია 516,1 მლნ ლარით;
    - ✓ **მოგების გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 945,0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 2022 წლის პირველ დამტკიცებულ გეგმას აღემატება 325,0 მლნ ლარით, ხოლო კანონში განხორციელებულ ცვლილებასთან შედარებით გაზრდილია 116,0 მლნ ლარით;
    - ✓ **დამატებული ღირებულების გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 6 426,7 მლნ ლარის ოდენობით, რაც 2022 წლის პირველ დამტკიცებულ გეგმას აღემატება 1 028,0 მლნ ლარით, ხოლო კანონში განხორციელებულ ცვლილებასთან შედარებით გაზრდილია 600,4 მლნ ლარით;
    - ✓ **აქციზის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 100,0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 2022 წლის პირველ დამტკიცებულ გეგმას აღემატება 210,0 მლნ ლარით, ხოლო კანონში განხორციელებულ ცვლილებასთან შედარებით გაზრდილია 115,0 მლნ ლარით;
    - ✓ **იმპორტის** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 125,0 მლნ ლარით, რაც 2022 წლის პირველ დამტკიცებულ გეგმას აღემატება 40,0 მლნ ლარით, ხოლო კანონში განხორციელებულ ცვლილებასთან შედარებით გაზრდილია13,0 მლნ ლარით;
    - ✓ **სხვა გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 250,0 მლნ ლარის ოდენობით (იზრდება 120,0 მლნ ლარით).

  - **სხვა შემოსავლების** პროგნოზი 2022 წლის პირველ დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 165.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 960.0 მლნ ლარის ოდენობით (კანონში განხორციელებულ ცვლილებასთან შედარებით გაზრდილია 15,0 მლნ ლარით);

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებელი განისაზღვრება 279.8 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:

    - ✓ საბიუჯეტო გრანტების ფარგლებში მისაღები შემოსავლები შეადგენს 135,0 მლნ ლარს.
    - ✓ საინვესტიციო გრანტები შეადგენს 44.8 მლნ ლარამდე;
    - ✓ სსიპ-ების მიერ კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად გადმოსარიცხი თანხები შეადგენს 100.0 მლნ ლარს;

- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 200.0 მლნ ლარს;

- **ფინანსური აქტივების კლების** (სესხების დაბრუნება) მაჩვენებელი განისაზღვრა 280.0 მლნ ლარის ოდენობით;

- **ვალდებულებების ზრდის** სახით მისაღები სახსრები განისაზღვრა 3 628,7 მლნ ლარის ოდენობით მათ შორის:
    - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მისაღები სახსრები შეადგენს 1 400.0 მლნ ლარს.
    - საინვესტიციო კრედიტების მაჩვენებელი შეადგენს 1 928.7 მლნ ლარს;
    - საბიუჯეტო დახმარების სახით მისაღები კრედიტების მაჩვენებელი შეადგენს 300,0 მლნ ლარს.

ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 1 218,5 მლნ ლარის ოდენობით, შესაბამისად ვალდებულებების წმინდა ზრდა 2 410,2 მლნ ლარს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები)

სახელწიფო ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობა შეადგენს 21 154,0 მლნ ლარს (2022 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 1 982,9 მლნ ლარით, ხოლო 2022 წელს ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებასთან შედარებით იზრდება 1 475,3 მლნ ლარით).

სამინისტროების მიხედვით გათვალისწინებულია:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებები განისაზღვრა 6 798,7 მლნ ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ პირველად გეგმასთან შედარებით გაზრდილია 771.1 მლნ ლარით (ხოლო 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებულ ცვლილებასთან შედარებით გაზრდილია 561.1 მლნ ლარით). ასიგნებების ფარგლებში გათვალისწინებულია:

- ✓ **მოსახლეობის სოციალური დაცვა** - 4 813,9 მლნ ლარი, რაც 2022 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 792,7 მლნ ლარით (ხოლო 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებულ ცვლილებასთან შედარებით გაზრდილია 702.4 მლნ ლარით). მათ შორის:

    - o საპენსიო უზრუნველყოფა - 3 379,2 მლნ ლარი (გაზრდილია 494,2 მლნ ლარით), რაც გამოწვეულია მათ შორის საპენსიო ასაკის მოსახლეობისათვის „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო პენსიის ზრდის ინდექსაციის წესის შესაბამისად, ეკონომიკურ პარამეტრებზე დაყრდნობით პენსიის გადაანგარიშებით.

აღნიშნული კანონის მიხედვით **70 წლამდე პირთა პენსია** უნდა გაიზარდოს ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლის, მაგრამ არანაკლებ 20 ლარის ოდენობით. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ სექტემბერში გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით ბოლო 12 თვის საშუალო ინფლაცია შეადგენს 12,7%-ს. აღნიშნული მაჩვენებლით პენსიის ზრდა (260*12,7%=33) გათვალისწინებულია 35 ლარის ოდენობით და 2023 წლის იანვრიდან განისაზღვრება 295 ლარით.

ამავე კანონის მიხედვით, **70 წლის და მეტი ასაკის პირთათვის** პენსია უნდა გაიზარდოს ბოლო 12 თვის საშუალო ინფლაციის და ბოლო 6 კვარტლის მშპ-ს რეალური ზრდის მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკულის 80%-ის ჯამით. გასული წლის 4 კვარტალში და მიმდინარე წლის 2 კვარტალში მშპ-ს რეალური ზრდის მონაცემებია:

- ✓ 2021წ. I კვარტალი - (-4,1%);
- ✓ 2021წ. II კვარტალი - 28,9%;
- ✓ 2021წ. III კვარტალი - 9,1%;
- ✓ 2021წ. IVკვარტალი - 8,8%
- ✓ 2022წ. I კვარტალი - 14,9%
- ✓ 2022წ. II კვარტალი - 7,2%;

აღნიშნული მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკული შეადგენს 10,8%-ს, ხოლო მისი 80% - 8,6%-ს. შესაბამისად პენსიის მოცულობა უნდა გაიზარდის 12,7%+8,6%=21,3%-ით. აღნიშნული ფორმულით პენსიის ზრდა (300*21,3%=64) გათვალისწინებულია 65 ლარით და მისი მოცულობა 2023 წლის იანვრიდან განისაზღვრება 365 ლარის ოდენობით.

მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პენსიონერებისთვის კანონით განსაზღვრული დანამატების გათვალისწინებით, 70 წლამდე პირთა პენსია იქნება 354 ლარი, ხოლო 70 წლის და მეტი ასაკის პირთა პენსია 438 ლარი.

პენსიის ზრდის შესაბამისად იზრდება სახელმწიფო კომპენსაციების მიმღებ პირთა კომპენსაციები, რომელთა კომპენსაციის დაანგარიშება დაკავშირებულია სახელმწიფო პენსიის ოდენობაზე (და არ აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზედა ზღვარს).

- o მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება - 1 275,1 მლნ ლარი (2022 წლის პირველად დამტკიცებულ გეგმასთან გაზრდილია 274,0 მლნ ლარით, ხოლო 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებულ ცვლილებასთან შედარებით გაზრდილია 187.8 მლნ ლარით); ზრდა მათ შორის დაკავშირებულია 2022 წლის 1 ივნისიდან სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარების 100 ლარიდან 150 ლარამდე ზრდასთან;

- o სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში - 85.0 მლნ ლარი. პენსიის ზრდის შესაბამისად იზრდება საპენსიო დანამატის მოცულობაც;

- o სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის დაფინანსება იზრდება 14,4 მლნ ლარით და 66,0 მლნ ლარს აღემატება;

- ✓ **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა** - 1 499.1 მლნ ლარი, მათ შორის საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსება შეადგენს 850,0 მლნ ლარს, ხოლო ახალი კორონავირუსული დაავადების - COVID 19-ის მართვისთვის გამოყოფილია 120,0 მლნ ლარი, მათ შორის 50,0 მლნ ლარზე მეტი გათვალისწინებულია ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ

გამოყოფილი რესურსის ფარგლებში ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის (ძირითადად ინფექციური საავადმყოფოს აღჭურვა);

პროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია სასწრაფოს დახმარების სამსახურის პერსონალის ხელფასების 10%-იანი ზრდა, ხოლო სოფლის ექიმებისა და ექთნების ანაზღაურების 100 ლარით ზრდა;

- ✓ **სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა** - 42,1 მლნ ლარი;

- ✓ **შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა** - 90,3 მლნ ლარამდე, მათ შორის, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებულია 80.0 მლნ ლარი;

- ✓ **იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა** - 267,7 მლნ ლარი. პროგრამის დაფინანსება გაზრდილია 2,6-ჯერ და აღნიშნული თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია 7 000 ბინაზე გათვლილი საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობის დაწყება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 1 978,6 მლნ ლარით, რაც 2022 წლის ასიგნებასთან შედარებით გაზრდილია 293,7 მლნ ლარით, მათ შორის თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი პროგრამების განხორციელებაზე:

- ✓ სკოლამდელი და ზოგადი განათლება - 1 293,4 მლნ ლარი, რაც წინა წლის პირველ დამტკიცებულ ასიგნებასთან შედარებით გაზრდილია 136,0 მლნ ლარით. აღნიშნული თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია საჯარო სკოლების მასწავლებელთა დანამატის და მანდატურთა ანაზღაურების ზრდა 125 ლარით, ხოლო ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ხელფასების ზრდა 10%-ით;
- ✓ პროფესიული განათლება - 87,4 მლნ ლარი. გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გათვალისწინებულია მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურების ზრდა 15-დან 18 ლარამდე;
- ✓ უმაღლესი განათლება - 148.5 მლნ ლარი;
- ✓ მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - 75,8 მლნ ლარი. გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში დასაქმებულთა ხელფასების 10%-იანი ზრდა;
- ✓ ინკლუზიური განათლება - 42,6 მლნ ლარი. პროგრამის ფარგლებში მასწავლებლების ანალოგიურად გათვალისწინებულია სპეც. მასწავლებლების ანაზღაურების ზრდა 125 ლარით;
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება - 229,0 მლნ ლარამდე. მათ შორის:
    - o ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება - 179,1 მლნ ლარამდე (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებებში გათვალისწინებულ ასიგნებებთან ერთად გათვალისწინებულია 316,4 მლნ ლარამდე);
    - o პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება - 50.0 მლნ ლარი (მათ შორის, გათვალისწინებულია „პროფესიული განათლება I (KFW) პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული სახსრები);
    - o უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება - 10.1 მლნ ლარი.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 401,2 მლნ ლარით, მათ შორის თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი პროგრამების განხორციელებაზე:

- ✓ სახელოვნებო და სასპორტო სფეროში უმაღლესი განათლება -17.2 მლნ ლარი;

- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება - 44.0 მლნ ლარი;
- ✓ სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა - 12.1 მლნ ლარი;
- ✓ კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 99.0 მლნ ლარი;
- ✓ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა - 38.8 მლნ ლარი;
- ✓ მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია - 152,1 მლნ ლარი;
- ✓ კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვისა და ხელშეწყობის ღონისძიებები - 23.4 მლნ ლარი;
- ✓ ახალგაზრდობის ხელშეწყობა - 5.9 მლნ ლარამდე.

გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გათვალისწინებულია სისტემაში დასაქმებულთა ხელფასების 10%-იანი ზრდა;

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 2 975.9 მლნ ლარით, მათ შორის საბიუჯეტო სახსრების ნაწილში გათვალისწინებულია 1 543,2 მლნ ლარი, გრანტებში გათვალისწინებულია 13.9 მლნ ლარამდე, კრედიტებში გათვალისწინებულია 1 418.8 მლნ ლარამდე. ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- ✓ **საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები** - 1 894.0 მლნ ლარი, მათ შორის ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობაზე გათვალისწინებულია 1 231,5 მლნ ლარი;
- ✓ **რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია** - 347,9 მლნ ლარი;
- ✓ **წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია** - 520,0 მლნ ლარი;
- ✓ **მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა** - 67,0 მლნ ლარი;
- ✓ **ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია** - 137,3 მლნ ლარი;
- ✓ **სხვა დანარჩენი პროგრამები** - 9,7 მლნ ლარი.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 688.5 მლნ ლარს. გამოყოფილი თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- ✓ სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა - 65.5 მლნ ლარი;
- ✓ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება - 97,4 მლნ ლარი.
- ✓ ერთიანი აგროპროექტი - 320,2 მლნ ლარი. მათ შორის:
  - o შეღავათიანი აგროკრედიტები - 200.0 მლნ ლარი;
  - o აგროდაზღვევა - 12.0 მლნ ლარი;
  - o დანერგე მომავალი - 35.0 მლნ ლარი;
  - o გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი - 25,0 მლნ ლარი;
  - o აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა - 10.0 მლნ ლარამდე;
- ✓ სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია - 95.0 მლნ ლარი;
- ✓ გარემოსდაცვითი ზედამხედველობა - 25.0 მლნ ლარი;
- ✓ დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა - 32,5 მლნ ლარამდე;
- ✓ სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა - 13,2 მლნ ლარამდე;
- ✓ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა - 4,4 მლნ ლარი.

სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში გარემოს დაცვის პროგრამების დაფინანსება 2022 წლის პირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 22%-ით და შეადგენს 81,9 მლნ ლარს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის გათვალისწინებულია 653.7 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ მოსახლეობის გაზიფიცირებისთვის - 83,6 მლნ ლარამდე;
- ✓ მეწარმეობის განვითარება - 264,2 მლნ ლარი;
- ✓ ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - 33,0 მლნ ლარი;
- ✓ საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება - 74,8 მლნ ლარამდე;
- ✓ ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 102,3 მლნ ლარამდე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 106,0 მლნ ლარს;

იუსტიციის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 369,4 მლნ ლარი;

საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 183,0 მლნ ლარი;

თავდაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 1 260,0 მლნ ლარი, რაც 2022 წლის პირველ დამტკიცებულ გეგმას 257,6 მლნ ლარით აღემატება (ხოლო 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებულ ცვლილებასთან შედარებით გაზრდილია 177.6 მლნ ლარით). გამოყოფილი თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- ✓ ჯარისკაცების ხელფასების ზრდა 20%-ით, რისი გათვალისწინებითაც სამინისტროს შრომის ანაზღაურების ფონდი ჯამში შეადგენს 605,0 მლნ ლარს;
- ✓ თავდაცვის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ჯარისკაცებისთვის ბინების მშენებლობისთვის გათვალისწინებულია 100,0 მლნ ლარი;
- ✓ თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებისთვის გამოყოფილია 174,4 მლნ ლარი;

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 1 070 მლნ ლარი, რაც 2022 წლის პირველ დამტკიცებულ გეგმას 205,0 მლნ ლარით აღემატება. დაფინანსების ზრდა ძირითადად დაკავშირებულია პოლიციელთა ხელფასების 20%-ით ზრდასთან. ამასთან, სამინისტროს ასიგნება 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებულ ცვლილებასთან შედარებით გაზრდილია 107.5 მლნ ლარით;

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 180,0 მლნ ლარი, რომლის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია პოლიციელთა ხელფასების 20%-იანი ზრდა;

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის გათვალისწინებულია 76.0 მლნ ლარი;

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის დაფინანსება შეადგენს 3.8 მლნ ლარს.

საქართველოს პროკურატურისთვის გათვალისწინებულია 53,8 მლნ ლარი;

სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის გათვალისწინებულია 17,0 მლნ ლარი;

სასამართლო სისტემისთვის გათვალისწინებულია ჯამში 138,5 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ საკონსტიტუციო სასამართლო - 5,8 მლნ ლარი;
- ✓ უზენაესი სასამართლო - 15,5 მლნ ლარი;
- ✓ საერთო სასამართლოები - 110,0 მლნ ლარი;
- ✓ იუსტიციის უმაღლესი საბჭო - 7,2 მლნ ლარი;

იურიდიული დახმარების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 9,9 მლნ ლარი;

სახალხო დამცველის აპარატისთვის გათვალისწინებულია 9,3 მლნ ლარი;

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის გათვალისწინებულია 4.0 მლნ ლარი;

საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციების დაფინანსება შეადგენს 75,0 მლნ ლარს;

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის გათვალისწინებულია 18,8 მლნ ლარი;

ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაფინანსება შეადგენს 35,8 მლნ ლარამდე;

მთავრობის ადმინისტრაციის დაფინანსება შეადგენს 22,0 მლნ ლარს;

პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის გათვალისწინებულია 9,1 მლნ ლარი;

სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციების დაფინანსება ჯამში შეადგენს 10,2 მლნ ლარს;

მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებების მოცულობა

/ათასი ლარი/

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**2021 წლის ფაქტი**	**2022 წლის დამტკიცებული გეგმა**	**2023 წლის პროექტი**
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	55 970,0	68 035,9	75 000,0
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	7 184,9	8 792,4	9 115,0
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	589,8	752,9	775,0
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	32 523,3	19 220,0	22 000,0
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	15 532,6	18 491,3	18 799,9
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	82 961,9	31 489,1	35 774,2
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	3 785,8	5 150,0	5 800,0
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	10 854,5	14 350,0	15 500,0
09 00	საერთო სასამართლოები	70 830,5	99 120,0	110 000,0
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	4 190,1	6 840,0	7 200,0
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	825,5	1 052,3	1 300,0
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	656,7	834,7	1 060,0
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	676,0	939,2	1 220,0
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	737,7	950,7	1 160,0
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	619,3	867,4	1 060,0
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	603,7	844,2	1 050,0
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	640,2	820,7	1 000,0

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის დამტკიცებული გეგმა	2023 წლის პროექტი
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	867,6	1 194,8	1 330,0
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	638,7	821,2	1 020,0
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	138 336,7	150 700,0	180 000,0
21 00	საქართველოს პროკურატურა	41 347,7	47 870,0	53 800,0
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	2 467,5	3 130,0	3 700,0
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	88 847,6	105 404,8	106 000,0
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	621 101,1	932 404,9	653 680,0
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2 513 545,3	2 975 005,0	2 975 920,0
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	324 773,0	320 568,4	369 400,0
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	6 466 346,4	6 237 554,4	6 798 670,0
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	169 213,5	176 603,6	183 000,0
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	983 737,4	1 082 431,4	1 260 000,0
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	788 905,7	962 500,0	1 070 000,0
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	665 379,8	743 071,4	688 480,0
32 00	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	1 526 921,4	1 684 835,9	1 978 580,7
33 00	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	359 246,7	400 802,8	401 232,0
34 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	13 800,0	15 400,0	18 000,0
35 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	2 179,6	1 705,0	1 715,0
36 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	7 349,2	8 170,5	9 900,0
37 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	8 082,0	9 495,0	12 000,0
38 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	2 079,3	2 292,0	2 800,0
39 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური	0,0	0,0	4 000,0
40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	61 358,6	67 188,5	76 000,0
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	6 208,7	8 869,0	9 275,0
42 00	სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	69 585,3	82 180,0	101 110,0
43 00	სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო	2 184,7	3 670,0	5 000,0
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	2 438,9	2 636,0	2 830,0
45 00	საქართველოს საპატრიარქო	24 937,0	25 000,0	25 000,0
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	6 780,1	11 300,0	10 000,0
47 00	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	10 781,7	12 968,0	20 000,0
48 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	4 005,8	4 434,0	4 735,0
49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	1 515,5	1 602,0	1 930,0
50 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	5 315,7	5 388,8	6 450,0
51 00	სპეციალური საგამოძიებო სამსახური	7 110,7	11 300,0	17 000,0
52 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	447,4	543,8	600,0
53 00	სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო	219,6	269,0	500,0

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის დამტკიცებული გეგმა	2023 წლის პროექტი
54 00	ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი	2 648,0	3 410,0	3 750,0

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მთლიანი მოცულობა შეადგენს 3 788.8 მლნ ლარს, მათ შორის:

- ✓ საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 1 650.0 მლნ ლარი;
- ✓ საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 715.0 მლნ ლარი;
- ✓ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი - 55.0 მლნ ლარი;
- ✓ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 40.0 მლნ ლარი;
- ✓ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი - 400.0 მლნ ლარი;
- ✓ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი - 20.0 მლნ ლარი;
- ✓ დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება - 310.0 მლნ ლარი;
- ✓ საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერა - 15.0 მლნ ლარი;
- ✓ დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელებისთვის გათვალისწინებულია 251,0 მლნ ლარი;
- ✓ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები - 329.0 მლნ ლარი.

მუნიციპალიტეტების მიერ დღგ-ის სახით მისაღები შემოსავლები პროგნოზირებულია 1 507,5 მლნ ლარის (ჯამური დღგ-ის 19%) ოდენობით და ნაწილდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) პროგნოზის განაწილების შედეგად მუნიციპალიტეტების მიერ მისაღები შემოსავლების განაწილება:

მუნიციპალიტეტების დასახელება	დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება	
	დღგ-ის 19%-ის განაწილება	დღგ-ის საორიენტაციო მოცულობა
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	39,07%	588 867,6
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	3,59%	54 153,5
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	1,52%	22 892,6
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	1,04%	15 717,3
ქედის მუნიციპალიტეტი	0,94%	14 233,6
შუახევის მუნიციპალიტეტი	0,33%	5 000,0
ხულოს მუნიციპალიტეტი	0,35%	5 296,0
ახმეტის მუნიციპალიტეტი	1,08%	16 229,8
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	1,35%	20 362,9
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	0,33%	5 000,0
თელავის მუნიციპალიტეტი	1,42%	21 375,1
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	1,04%	15 641,3
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	1,28%	19 304,9
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	0,61%	9 225,4
ყვარლის მუნიციპალიტეტი	0,67%	10 079,6
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	3,48%	52 452,0
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	1,16%	17 476,7
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	0,52%	7 848,2
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	1,28%	19 304,9
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	0,56%	8 420,0
ვანის მუნიციპალიტეტი	0,58%	8 669,1
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	1,34%	20 191,2
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	0,81%	12 180,2

მუნიციპალიტეტების დასახელება	დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება	
	დღგ-ის 19%-ის განაწილება	დღგ-ის საორიენტაციო მოცულობა
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	1,11%	16 690,3
საჩხერის მუნიციპალიტეტი	1,20%	18 132,4
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	0,54%	8 158,7
ხონის მუნიციპალიტეტი	0,56%	8 427,6
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	0,56%	8 371,2
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	2,42%	36 451,1
აბაშის მუნიციპალიტეტი	0,51%	7 738,7
მარტვილის მუნიციპალიტეტი	0,81%	12 144,9
მესტიის მუნიციპალიტეტი	0,54%	8 200,3
სენაკის მუნიციპალიტეტი	0,92%	13 845,5
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	0,55%	8 273,5
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	0,63%	9 542,3
ხობის მუნიციპალიტეტი	0,53%	8 029,5
გორის მუნიციპალიტეტი	3,42%	51 519,3
კასპის მუნიციპალიტეტი	0,93%	14 008,9
ქარელის მუნიციპალიტეტი	1,06%	15 917,5
ხაშურის მუნიციპალიტეტი	1,32%	19 955,9
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	2,98%	44 894,1
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	0,33%	5 000,0
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	0,33%	5 000,0
დმანისის მუნიციპალიტეტი	0,80%	12 129,6
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	0,79%	11 854,9
მარნეულის მუნიციპალიტეტი	1,89%	28 530,3
წალკის მუნიციპალიტეტი	0,33%	5 000,0
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	0,74%	11 117,5
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	1,45%	21 906,8
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	0,49%	7 346,1
ადიგენის მუნიციპალიტეტი	0,70%	10 592,1
ასპინძის მუნიციპალიტეტი	0,33%	5 000,0
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	0,33%	5 000,0
ახალციხის მუნიციპალიტეტი	1,35%	20 278,0
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	0,33%	5 000,0
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	0,45%	6 833,6
დუშეთის მუნიციპალიტეტი	0,78%	11 788,0
თიანეთის მუნიციპალიტეტი	0,57%	8 579,5
მცხეთის მუნიციპალიტეტი	0,67%	10 079,6
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	0,33%	5 000,0
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	0,66%	9 893,0
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	0,38%	5 782,0
ონის მუნიციპალიტეტი	0,44%	6 673,7
ცაგერის მუნიციპალიტეტი	0,59%	8 892,1
სულ ჯამი		**1 507 500,00**

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 2 613,6 მლნ ლარი;*
- *თავდაცვა - 1 321,1 მლნ ლარი;*
- *საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 1 774,5 მლნ ლარი;*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 3 549,0 მლნ ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 154,7 მლნ ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 303,6 მლნ ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 1 590,5 მლნ ლარი;*
- *დასვენება, კულტურა და რელიგია - 460,9 მლნ ლარი;*
- *განათლება - 2 180,4 მლნ ლარი;*
- *სოციალური დაცვა - 5 464,6 მლნ ლარი;*

ამასთან აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის პროექტით 2022 წელთან შედარებით გაზრდილია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგო და განსაზღვრულია 1 180 ლარის ოდენობით. შესაბამისად, საჯარო სექტორში დასაქმებულ ყველა იმ მოხელეზე, ვისზედაც ვრცელდება ზემოაღნიშნული კანონი, გადაანგარიშებულია თანამდებობრივი სარგოების მოცულობები. რაც შეეხება შრომის ანაზღაურების ფონდს, მისი მოცულობა გაანგარიშებულია მოქმედი საშტატო განრიგების მიხედვით და გაზრდილია 10%-ით. გამონაკლისია მხოლოდ ჯარისკაცების და პოლიციელების შრომის ანაზღაურება, რომელთა ხელფასების ზრდა გათვალისწინებულია 20%-ით.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ 2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამას და „ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია”-ს

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ამოქმედება გათვალისწინებულია კანონის გამოქვეყნებისთანავე.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი სამი წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ან/და მუნიციპალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ან/და მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონის პროექტი ვრცელდება 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ბენეფიციარებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივი ხელშეკრულებებს. აგრეთვე, კანონპროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ,

ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადებისათვის გამოყენებული ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები შესაბამისობაშია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგნოზებთან. პროექტით განსაზღვრული ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები შეთანხმებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა